FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ლაზარე მაღლაკელიძის ისტორია

ლაზარე მაღლაკელიძე, საპიენცას უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხის სტუდენტია, გამოყენებითი კომპიუტერული მეცნიერებისა ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით.
მას ბრალად ედებოდა წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციელის შეურაცხყოფა. ლაზარე თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 2024 წლის 2 დეკემბერს დააკავეს. ის, ისევე როგორც აქციაზე შეკრებილი სხვა მომიტინგეები, ხელისუფლების ანტიდასავლურ განცხადებებსა და უკანონო დაკავებებს აპროტესტებდა.

"როცა დამიჭირეს, პირველი რაც გავაკეთე, ძირს დავწექი და თავზე ხელები დავიფარე. ძირს დაწოლილს რამდენიმე წიხლი მომხვდა, რაც რამე მქონდა ჯიბეებში, ყველაფერი ამომაცალეს, საფულე, ტელეფონი... ყველაფერი. ჩანთაც მეკეთა, რომელიც ვერ მომხსნეს და შემომახიეს - რომ გითხრა, იმ ჩანთაში რამე ღირებული მედო-თქო, უნდა მოგატყუო, შარვალი მედო, საწვიმარი, ჟაკეტი, წყალი, სასუსნავები, დამტენი, ტელეფონის ელემენტი,"- იხსენებს დაზარალებული.

დაკავებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების შემდეგ, ლაზარე გადაიყვანეს ე.წ "საწამებელ" მიკროავტობუსში. ლაზარეს გადაყვანისას, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ჯერ არ დაარტყათ, კამერებიაო და ეძებდნენ იმ სამარშუტო ტაქსებს, რომლებიც სპეციალურად დაკავებულებზე ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის იყო განკუთვნილი.

“გეცოდინებათ, სკამების დიდი ნაწილი ამოცლილია, რომ სივრცე იყოს და შიგნით ხალხს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ეს არ არის რომელიმე სპეცრაზმელის სპონტანური გადაწყვეტილება ან ადგილზე გამოგონება: ყველა სპეცრაზმელმა იცის, რომ ვისაც დააკავებენ, იქ უნდა შეიყვანონ, ცემონ და ასე ვთქვათ "დაამუშაონ". კითხულობდნენ, აბა, სად არის, ერთმანეთს უთითებენ, იქ მიიყვანე და დაელოდე, ყველამ იცის რა უნდა გააკეთოს. სპეცრაზმელები დაკავებულების ამბავს რო გაიგებენ ხორხოცი იწყება, გართობა - ახლა მოგიყვანთ ფორმაში, *რაკში “დუბინკას” დაგიყენებთ, ამით გაგაუპატიურებთ და ასე შემდეგ.... შეურაცხყოფაზე და გინებაზე აღარც ვლაპარაკობ. რომ მიმიყვანეს, ეტყობა ეს მანქანა დაკავებული იყო თუ რა, ვერ მივხვდი და ჩემი ცემა დაიწყეს უფრო ადრე, სანამ იმ მანქანაში შემაგდებდნენ, ლოდინმა რომ მოუწიათ, ვეღარ მოითმინეს, გაიხედ-გამოიხედეს, ირგვლივ სატელევიზიო კამერები არ იყო და ჯერ ფეხებში მირტყამდნენ, შემდეგ გადამაფარეს საკუთარი საწვიმარი და უკვე ყველგან მირტყამდნენ. ორი კაცი მიჭერდა ხელებით და სახეში მირტყამდა. რამდენი და რამდენ ხანს მირტყამდა, ვერ გეტყვით, რაღაც მომენტში გონებაც დავკარგე. მერე შემხვდა ერთი ბიჭი კლინიკაში, რომელიც თურმე იქაც და ავტომობილშიც ჩემთან ერთად იყო და ის ამბობდა, რომ რაღაც მომენტში შენი სხეული უბრალოდ ეჭირათ და ყველა გამვლელი სპეცრაზმელი სახეში ფეხს, მუშტს და ხელს გირტყამდაო. რაც მახსოვს, ის იყო, რომ როდესაც გამოვფხიზლდი და ამ საწვიმარის გადახდას ვცდილობდი, ამბობდნენ, უი, ეს გამოცოცხლდაო და ხელახლა დამიწყეს ცემა. ბოლოს მიკროავტობუსში შემაგდეს კიდევ ორ ადამიანთან ერთად - იქ ჯერ ერთი რაუნდი თან გვცემეს, თან მორალს გვიკითხავდნენ კაცობაზე და ადამიანობაზე - თქვენ რანაირი კაცები ხართ, თუ ომი გინდათ, წადით და უკრაინაში იომეთო. თქვენ ხართ, ბიჭო, პატრიოტები, თქვენ ხომ *რაკში **ნაური გევასებათ და ახლა ნახეთ, რას გიზამთო - მთელი ღამე ვიღაც რაღაც საშინელებებს გველაპარაკებოდა, სტანდარტულ გინებაზე აღარ ვსაუბრობ. შემდეგ გადაგვცეს პოლიციას - პატრულმა ფოტოები გადაგვიღო და თავიანთ უფროსებს გადაუგზავნა ალბათ იმის ნიშნად, რომ ლმობიერად არ მოგვქცევიან და კარგად ნაცემები ვიყავით უკვე. პატრულის თანამშრომელმა ხელახლა გამიკეთა ხელბორკილები და თან მითხრა, ჩემი ნება რომ იყოს, ამას ისე მოგიჭერდით, ხელებს დაგამტვრევდიო და იქვე გადაწყვიტა, რომ თვითონ შეევსო დაკავების ოქმი.”

ლაზარეს ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ დაკავების შემდეგ, განყოფილებიდან პირდაპირ ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანეს. კლინიკაში მას დაუდგენდა ტვინის შერყევა, ჩაუტარდა ცხვირის ოპერაცია და CAT-ე. ასევე, ნევროლოგის დავალებით გაუკეთდა MRI (მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია).

ლაზარე მაღლაკელიძის ისტორია

ლაზარეს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. მისი საქმე განიხილა მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ. საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო ლაზარეს რეალური დამკავებელი. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. პირიქით, დაცვის მხარემ წარმოადგინა ვიდეოჩანაწერი, რომელის საწინააღმდეგოც იყო პოლიციელთა ჩვენებები.

მოსამართლემ ლაზარე მაღალკელიძის მიმართ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი და სამართალდამრღვევად სცნო 173-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო სახდელის სახით შეეფარდა სიტყვიერი შენიშვნა.

მომხდარ ფაქტზე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო მოკვლევა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე. პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს, როგორც წამება და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

ლაზარე გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ფიგურირებენ თვითმხილველები, რომლებიც იმყოფებოდნენ მასთან ერთად მიკროავტობუსში და შეუაძლიათ ამოიცნონ სპეცრაზმელების მეთაური, რომელიც მონაწილეა ლაზარეს მიმართ ჩადენილ დანაშაულში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დღემდე არ მომხდარა ამ პოლიციელების იდენტიფიცირება და დაკავება. ამჟამინდელი ინფორმაციით, ლაზარეს უკვე მიანიჭეს დაზარალებულის სტატუსი.